

აგროტურისტული მეურნეობების

მ ო წ ვ ე ვ ა

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) ახორციელებს პროექტს “აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში”, რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში აგროტურიზმის განვითარებას.

პროექტი, რომელიც დინამიურ აგროტურისტულ მეურნეობების იდენტიფიცირებას მოახდენს და ტექნიკური მხარდაჭერის გზით მათი შესაძლებლობების ზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებს, USAID-ის ეკონომიკური განვითარების, მმართველობისა და საწარმოთა ზრდის პროექტის (EDGE) მიერ არის დაფინანსებული.

გამარჯვებულ ბენეფიციარებს პროექტის ფარგლებში დახმარება გაეწევათ ბრენდინგსა და მარკეტინგში, ასევე შესაძლებლობა მიეცემათ გაიარონ ტრენინგები.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც დამწყებ, ასევე არსებულ აგროტურისტულ ობიექტებს. უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდების, ქალების მონაწილეობას და მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებას, კერძოდ:

კომპანიის კატეგორია	თანამშრომლების რაოდენობა
საშუალო ზომის	51-250
მცირე	11-50

პროექტის უპირატესობები:

პროექტის ფარგლებში შეიქმნება ვებსაიტი, რომელზეც სულ მცირე 100 აგროტურისტული ობიექტი დარეგისტრირდება საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. ამასთანავე, საქართველოს აგროტურისტული ობიექტები შეძლებენ რო ისარგებლონ შემდეგი აქტივობებით:

- ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად კონკურსის საფუძველზე შეირჩევა 20 აგროტურისტული ობიექტი. უპირატესობა კი, ქალ მონაწილეებს მიენიჭება. ტრენინგები ჩატარდება შემდეგ მიმართულებებზე:
 - ✓ სტუმართმასპინძლობის და ტურიზმის ინდუსტრია;
 - ✓ ციფრული მარკეტინგი: ონლაინ დაჯავშნა და სოციალური მედია;
 - ✓ სურსათის უვნებლობა.

- 30 აგროტურისტული საწარმო ისარგებლებს ბრენდინგისა და მარკეტინგის სრული პაკეტით (ფოტოების გადაღება, პროფილების და წარმატების ისტორიების დაწერა, ონლაინ პლათფორმებზე რეგისტრაცია (ვებსაიტები, სოციალური მედია, სხვა.)). ხოლო 10 აგროტურისტული ობიექტისთვის პროექტი უზრუნველყოფს “აგრო სტოპ”-ის სარეკლამო ვიდეოების გადაღებას.

პროექტის დასასრულს (2021 წლის სექტემბერი) კავკასიაში აგროტურიზმის განვითარებაში ჩართული ტურიზმის წარმომადგენლებისთვის ჩატარდება სპეციალური ღონისძიებები.

პროექტის ეტაპები:

1. პირველ რიგში, პროექტი რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით შეარჩევს საქართველოში არსებულ აგროტურისტულ ობიექტებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ:
 - ადგილმდებარეობა (უმჯობესია იყოს სოფლის ტერიტორიაზე).
 - აქვს ნებისმიერი სახის და ზომის მოქმედი ფერმა.
 - ორიენტირებულია ტურისტების მიღებაზე და მათი ფერმერულ აქტივობებში ჩართვაზე;
 - გააჩნია დასარჩენად კომფორტული საძინებლები, სუფთა და მოქმედი სააბაზანო ოთახი (ღამის გასათევი სერვისის შეთავაზების შემთხვევაში).
 - გააჩნია შესაბამისად აღჭურვილი სამზარეულო და სასადილო (კვების შეთავაზების შემთხვევაში).
 - მასპინძელს ან ოჯახის წევრს (პერსონალს), შეუძლია ფერმის მარტივი ტურის, ფერმაში სპეციფიური აქტივობების ან მიმდებარე ტერიტორიაზე ტურების შეთავაზება.
2. დაინტერესებულმა საწარმოებმა უნდა წარმოადგინონ საწარმოს შესახებ ინფორმაცია და სამოტივაციო წერილი.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 14 სექტემბერი.

განაცხადის ფორმა იხილეთ ვებ გვერდზე: www.gfa.org.ge (პროექტები => მიმდინარე პროექტები => აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში).

განაცხადების მიღება ხდება მხოლოდ ელექტრონულად, ელ. ფოსტის მისამართზე: info@gfa.org.ge

განაცხადი უნდა იყოს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი და დასკანერებული PDF ფორმატში.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ხელით შევსებული განაცხადები არ მიიღება.

დამატებითი კითხვებისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საქართველოს ფერმერთა ასოციაციას

ცხელ ხაზზე: 032 2 19 30 03